ნახატი 2009 წლის 24-31 ოქტომბერს ჩატარებული ბავშვთა ნახატების გამოფენიდან.

ევროკავშირი

საქართველოს უნიკალური ბუნებრივი გარემოს დაცვა

გარემოს დაცვა ევროკავშირის საქმიანობის ერთი-ერთი ძირითადი მიმართულებაა მთელს მსოფლიოში. მასშტაბის მიუხედავად, გარემოს მრავალფეროვნებისა და უნიკალურობის თვალსაზრისით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. ევროკავშირი საქართველოს არა მხოლოდ რეალური და პრაქტიკული გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში ეხმარება, არამედ გარემოსდაცვითი პოლიტიკის, სტრატეგიისა და კანონმდებლობის შემუშავებაში უწევს მხარდაჭერას. 2010 წლისთვის საქართველოში მიმდინარე გარემოსდაცვითი პროექტების ღირებულებამ 20 მილიონი ევრო შეადგინა.
ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქმიანობები მოიცავს გარემოს დაცვის ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა:

- კლიმატის ცვლილება
- ბუნების დაცვა
- ნარჩენების მართვა
- ჰაერის ხარისხის დაცვა
- წყლის ხარისხის დაცვა
- ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია.

საქმიანობის დიდი ნაწილი მიმართულია გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე და ხელს უწყობს საზოგადოებას, ჩაერთოს გარემოს გადარჩენაში. პროექტების დიდ ნაწილს არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ.

ევროკავშირის დაფინანსება 2010 წელს:

20 მილიონი ევრო გარემოს დაცვის მხარდასაჭერად

საქმიანობის ძირითადი სფეროები:

ნარჩენების მართვა

წყლის ხარისხის დაცვა

ჰაერის ხარისხის დაცვა

ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია

მყარი ნარჩენების მართვა

მყარი ნარჩენების მართვა საქართველოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა. ორივე ტიპის - საშიში და მუნიციპალური - ნარჩენები უმეტესად ნაგავსაყრელებზე იყრება, რაც ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებას საფრთხეს უქმნის. სამწუხაროდ, ნარჩენების გადაყრა ხშირად გაუკონტროლებელ ადგილებში ხდება.

ევროკავშირის მიდგომა ეყრდნობა, ერთის მხრივ, საშიში ნარჩენების უსაფრთხოდ მართვის პრინციპს, და, მეორეს მხრივ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ხელახლა გამოყენებას, გადამუშავების ან კომპოსტირების შემდეგ.

საქართველოში საშიში ნარჩენების პირველი საცდელი პროექტი (160,000 ევრო) განხორციელდა ქუთაისში. ქალაქში დადგეს ბევრი კონტეინერი ქაღალდის და პლასტმასის ცალ-ცალკე შესაგროვებლად. პროექტის ფარგლებში შესყიდულ იქნა სპეციალური მანქანები ქაღალდისა და პლასტმასის განცალკევებით მოგროვებისთვის. შეგროვებულ პლასტმასის მასალას ქარხანა ხელოვნური კრამიტის საწარმოებლად იყენებს. საზოგადოებაში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია ნარჩენების განცალკევებისა, ორგანული ნარჩენების კომპოსტირებისა და საკუთარ ბაღებში გამოყენების შესახებ.

კიდევ ერთი ინოვაციური პროექტი საშიში ნარჩენების მართვის სფეროში ქობულეთის და ბათუმის საავადმყოფოებში განხორციელდა, სადაც შეიქმნა ტოქსიკური ნარჩენების განცალკევებით და უსაფრთხოდ შეგროვების და მოცილების სისტემა. ტოქსიკური ნარჩენები საავადმყოფოებში სპეციალურ კონტეინერებში ცალ-ცალკე გროვდება. კონტეინერებს სპეციალური მანქანა აგროვებს და მიაქვს ღუმელში, სადაც ხდება ამ ნარჩენების დაწვა ძალიან მაღალ ტემპერატურაზე და წნევის ქვეშ, რაც შემდგომ მათი უსაფრთხოდ გადაყრის საშუალებას იძლევა.

მიუხედავად ამისა, შესაბამისი კანონმდებლობისა და სტრატეგიის გარეშე მენეჯმენტის სისტემა სათანადოდ ვერ იფუნქციონირებს. ამიტომ, ევროკავშირი აფინანსებს პროექტებს (2,7 მილიონი ევრო) ფუნქციონალური ნარჩენების რეესტრის, ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის კანონმდებლობის მომზადების მიზნით. ასევე გათვალისწინებულია ახალი სისტემის განმახორციელებელი უწყებების გაუმჯობესება, განსაკუთრებით რეგიონების დონეზე.

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა

„ევროკავშირი 27 წევრი ქვეყნისგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები წლების მანძილზე ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ და საერთო მომავლის შესაქმნელად თავიანთ რესურსებს აერთიანებდნენ. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ერთად შექმნეს სტაბილური სივრცე დემოკრატიის და მდგრადი განვითარებისთვის. ამ პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლებები. ევროკავშირის ამოცანა სწორედ ამ მიღწევების და ფასეულობების გაზიარებაა მის საზღვრებს მიღმა მყოფი ადამიანებისა და ქვეყნებისთვის.“

European Union

ძირითადი მიღწევები:

- დაინერგა ნარჩენების მართვის ახალი სისტემა ქაღალდისა და პლასტმასის ნარჩენების დახარისხებით
- მტკვარ-არაქსის აუზის წყლების დაცვა
- თუშეთის და ვაშლოვანის ნაკრძალების დაცვა

ევროკავშირის
წარმომადგენლობა
საქართველოში
ნინო ჩხეიძის 38
თბილისი 0102,
საქართველო
ტელ.: (995 32) 943763
ფაქსი: (995 32) 943768
DELEGATION-GEORGIA@
ec.europa.eu
www.delgeo.ec.europa.eu

წყლის დაცვა

ევროკავშირის მიდგომა წყლის რესურსების დაცვის საკითხში მდინარეების აუზების ინტეგრირებული მართვის პრინციპს ეყრდნობა, რაც ხშირად ერთი ქვეყნის საზღვრებს სცილდება. სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დიდი აუზი მტკვარ-არაქსის აუზია. ევროკავშირი რამოდენიმე პროექტის საშუალებით ეხმარება სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს მდინარეების აუზების დაცვაში (საქართველოსთვის გამოყოფილია 5 მილიონი ევრო), რაც გულისხმობს წყალთან დაკავშირებული კანონმდებლობის, სათანადო მონაცემების შეგროვების და წყლის ხარისხის მონიტორინგისთვის აუცილებელი ლაბორატორიული აღჭურვილობით უზრუნველყოფას. ევროკავშირი ასევე აქტიურად ცდილობს დაიცვას შავი ზღვის სანაპირო ზოლი.

კლიმატის ცვლილება

ევროკავშირი ეხმარება საქართველოს კლიმატის ადაპტაციის სტრატეგიის შექმნაში და ე.წ. "სუფთა განვითარების მექანიზმის" (რომელსაც საერთაშორისო ინვესტორები სათბურის აირების ემისიის შემცირების მიზნით აფინანსებენ) შემუშავებაში, თუმცა ასევე ხდება ევროკავშირის მონაწილეობა საზოგადოების ინფორმირებაში კლიმატის ცვლილების თაობაზე. 2009 წლის ოქტომბერში ევროკავშირი გამოვიდა საქართველოში პირველი "კლიმატის კვირეულის" ჩატარების ინიციატივით და დააფინანსა ის. კვირეული მოიცავდა 100-ზე მეტ ღონისძიებას, რომელიც საზოგადოებას კლიმატის ცვლილების სხვადასხვა ასპექტზე აწვდიდა ინფორმაციას.

ბუნების დაცვა - ბიომრავალფეროვნება

საქართველოში ენდემური მცენარეებისა და ცხოველების უჩვეულოდ დიდი ნაირსახეობაა. ამ უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა თუშეთისა და ვაშლოვანის ნაკრძალებში ევროკავშირის მხარდაჭერით ხდება. 890 000 ევროს ღირებულების ამ პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებს და ბუნების დაცვის ამოცანებს შორის ბალანსის მოძიებას. ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს ტყეების დაცვასა და ტყის შესახებ კანონის შემოღებას (2 მილიონი ევრო).

ჰაერის ხარისხის დაცვა

საქართველოში ჰაერის ხარისხი საკმაოდ დაბალია, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. ამ პრობლემის გადასაჭრელად ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის მონიტორინგის ჩატარებაში და ამჟამინდელი სიტუაციის გამოსასწორებლად კანონმდებლობისა და სტრატეგიების შემუშავებაში (1 მილიონი ევრო).

ადამიანის საქმიანობით გამოწვეული და ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია, მათთვის მზადყოფნა და მათზე რეაგირება

საქართველოში სულ უფრო გახშირდა ბუნებრივი და ადამიანის საქმიანობით გამოწვეული კატასტროფები, მაგალითად, მეწყერი, ეროზია, გვალვა და წყალდიდობა. ევროკავშირის დახმარება კონცენტრირებულია ბუნებრივი კატასტროფების პრევენციასა და შემცირებაზე ყველაზე მგრძნობიარე, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში. ამ სექტორისთვის 2 მილიონი ევრო გამოიყო.

გარემო კონფლიქტების პრევენციას უწყობს ხელს

ევროკომისია კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC) ერთ-ერთი თანადამაარსებელია. გარემოსდაცვითი ცენტრის საბჭოს თავმჯდომარეობს ევროკომისია, ხოლო ამ უნიკალური ინსტიტუტის აღმასრულებელი ორგანოს წევრები არიან სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლები. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი მართავს ისეთ პროექტებს, როგორებიცაა მდგრადი მიწათსარგებლობა, სათემო სატყეო პოლიტიკის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის კავკასიის კონვენცია, მტკვარ-არაქსის აუზის წყლების დაცვა და სხვ. ამ პროექტებს სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში, ხოლო ზოგიერთ მათგანს, კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობებზეც კი ახორციელებენ. ამ პროექტების განხორციელება ყველა ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების თანამშრომლობას მოითხოვს, რაც მსოფლიოს ამ ლამაზ მხარეში სამომავლო კონფლიქტების თავიდან აცილების ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.

ერთობლივი ბრძოლა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ

საქართველოში პირველი „კლიმატის კვირეული" 2009 წლის 24-31 ოქტომბერს ჩატარდა. მისი მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი ადამიანის უკეთ გათვითცნობიერება კლიმატის ცვლილების საკითხებში, კლიმატის ცვლილების თაობაზე კოპენჰაგენში დაგეგმილი გაეროს კონფერენციის წინ.

მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებების მიზანი იყო მასმედიის საშუალებით საზოგადოების ყურადღების გამახვილება კლიმატის ცვლილებზე. „კლიმატის კვირეულის" კოორდინაცია განახორციელა მწვანეთა მოძრაობამ, რომლის თანადაფინანსება ევროკავშირმა განახორციელა. კვირეულის ფარგლებში ჩატარებული კონფერენციის მსვლელობისას, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს ერთიანი პოზიცია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით.